ლიტერა

გამოცემის
108-ე
წელი

№2, 2012

ყოფილა, ყოფილა, რა ყოფილა

ეოფილა, ეოფილა,
რა ეოფილა?
ქართველებს
წიგნი გვქონია,
ამდგარა გადამთიელი
და კარზე
შემოგვდგომია,
რათა ეს წიგნი წაეღო
სულ ყველა წიგნს
რომ სჯობია,
მაგრამ ქართველებს
ის წიგნი
თურმე ზეპირად
სცოდნიათ.

მურმან
ჯგუბურია

დათოს ოცნება

აღმაშენებელივით
მეც მინდა ვიდავითო,
მტერს შევება
მგელივით,
ცხენითა და ხმალითო.

დავაბრუნო მიწები
ნებით,
ანდა ძალითო,
გავამაგრო საზღვრები
ქართველების ჯარითო.

ვასახელო მამული
სახელით და გვარითო.

ზურაბ
მამულაშვილი

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

1 ივნისი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ანი კალმახელიძე

თამარ ნინიკაშვილი

ანანო ჯავახიშვილი

ირაკლი ყიფიანი

ნინო ქიმგარიშვილი

ანდრია კასრაძე

იაკო მაისურაძე

ნიტა თოდუა

გიორგი გოგინაშვილი

საბა გადელია

გიორგი ჯაოშვილი

გიორგი საკანდელია

მანანა ჯოხარიძე

კუ სრია

ტყის პირას, მოლზე ბულბულს კონცერტი უნდა გაემართა.

კუ მართა მოირთო, მოიკაზმა, კონცერტზე წასასვლელად გაემზადა და გზას დაადგა.

მიდის ნელა, აუჩქარებლად, თან ღიღინებს. ხედავს, წრუწუნა მოსეირნობს.

– საით გაგინევია? – ჰკითხა წრუწუნამ.

– კონცერტზე მივდივარ, ბულბულის მშვენიერი სიმღერა მინდა მოვისმინო, – მიუგო მართამ.

უნდა მოგახსენოთ, რომ წრუწუნა დიდი ზარმაცი ვინმე გახლდათ; კონცერტზე წასვლა ძალიან მოუნდა, ფეხით სიარული კი დაეზარა.

– შეიძლება მეც წამოვიდე? – ჰკითხა მართას.

– რატომაც არა?! ერთად წავიდეთ!

– იცი, მუხლი ვიტკინე და სიარული მიჭირს, – იცრუა წრუწუნამ, – აი, ბაკანზე თუ ამიშვებ, სიამოვნებით გამოგყვები.

მართა კეთილი იყო და უარი არ უთხრა.

წრუწუნა ბაკანზე შესკუპდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და არხეინად მოკალათდა. ცოტა მანძილი რომ გაიარეს, ხედავენ, ბილიკზე ხვლიკი გაწოლილა, მზეზე ზურგი მწვანედ ულაპლაპებს. ფაჩუნი რომ შემოესმა, აიხედა და კუზე წამომჯდარი წრუწუნა დაინახა. „ვა, რა კარგია ეგრე მგზავრობა?!“ – გაიფიქრა და ჰკითხა:

– სად მიბრძანდებითო?

– სად და კონცერტზე მივდივართ, ბულბულის სიმღერა უნდა მოვისმინოთ, – უთხრა წრუწუნამ.

– გვერდი რომ არ მტკიოდეს, მეც სიამოვნებით წამოვიდოდი, – საცოდავად დაიგრიხა ხვლიკი, – იქნებ თქვენ წამიყვანოთ?

ხვლიკი წრუწუნაზე ნაკლები ცრუპენტელა როდი იყო?!

– რა გაეწყობა?! დაბრძანდი! – მიუგო მართამ.

ხვლიკი ბაკანზე მოხერხებულად მოკალათდა და გზა განაგრძეს.

უცებ გუბიდან ბაყაყი გადმოხტა.

– სად მიდიხართ? მეც წამიყვანეთ!

– თუ დაეტევი, წაგიყვან, – უარი არ უთხრა მართამ.

ბაყაყმა ისკუპა და ბაკანზე წრუწუნასა და ხვლიკის გვერდით გაიბობღა.

მიდიან, მიიმღერიან, ბაყაყი ყიყინებს, წრუწუნა წრიპინებს, გზას ბოლო არ უჩანს.

მართა დაიღალა, ზურგი დაუმძიმდა, ძლივსღა მიჩოჩავს.

ბევრი იარეს თუ ცოტა, როგორც იქნა ტყიდან გავიდნენ და ხასხასა მოლიც გამოჩნდა. მოლზე სცენა მოეწყოთ, გარშემო ყვავილწნულებით მოერთოთ, ზედაც ფერად-ფერადი ყვავილები მიმოეფანტათ. მაგრამ მომღერალი ან მსმენელი სადღა იყო?... ირგვლივ არავინ ჩანდა, გარდა პატარა დათუნიასი, რომელსაც კუნძთან მისძინებოდა და არხეინად ხვრინავდა. კონცერტი დამთავრებულიყო.

– დავიგვიანეთ! – სინანულით ჩაილაპარაკა მართამ. ეჰ, როგორ მინდოდა ბულბულის მოსმენა?!

– დავიგვიანებდით, აბა რა იქნებოდა?! კი არ მოდიოდი, მოღოღავდი! – გაბრაზებით ჩაიყიყინა ბაყაყმა და იქაურობას ხტუნვა-ხტუნვით გაეცალა.

ხვლიკმა თვალები გადმოკარკლა, მართას გულმოსულმა გახედა და ბალახებში ტუცა თავი.

– ჩემი სირბილის პატრონი კუს ნაბიჯით უნდა წამოვსულიყავი? – დაიწრიპინა წრუწუნამ და ნირწამხდარმა თავისი სოროსაკენ მოუსვა.

მართა ერთხანს იდგა დაღონებული, მერე – ახია ჩემზეო, – ღრმად ამოიოხრა და დინჯად, აუჩქარებლად შინისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა.

კორნეი ჩუკოვსკი

გადმოაქართულა
ვაჟა ყუბუსიძემ

აკრუტუნდნენ კატები:
– მოგვბეზრდაო კრუტუნი,
მოგვინდაო ღრუტუნი. –
გადივარცხნეს კულულები,
აეაუანდნენ ჭუჭულები,
ატუდა აეალმაეალი:

აღარ
გვინდა
ყაყანი,
ახლა
გვინდა
ვეუივლოთ,
ყიყ-ლი-ყო!

ღორები აფრუტუნდნენ,
კატები აღრუტუნდნენ
ულაეი აეიეინდა,
ბაეაეი აჭიხვინდა,
ჩიორამ გაიხარა:
– მქონიაო იღბალი, –
ბუღასავით იბღავლა,
– მუ-უ-უ!

თენგიზ სვანიძე

ღმერთო, ჯვარი დანგერე

თეონა და ნატა საბაშვილებს

თვალციმციმა გოგონებს
მე ვადარებ ყვავილებს...
მჯერა, მათზე სიავეს
გულში არვინ გაივლებს.
ანგელოზთა გალობას
მოჰგავს მათი კისკისი,
დაეფინოს მათს გზა-კვალს
მზე – ცა-მიწის შიკრიკი!
ბრძენის ენა ხშირად დუმს,
ბრიყვისა კი ტარტარებს...
ღმერთო, ჯვარი დასწერე
საქართველოს ჰატარებს!

მხატვარი
ლაშა სულაკაური

ლიდა სტვილია

ეს ნამცეცა ბაია

ეს ნამცეცა ბაია,
ეს ღაბუა ჰატარა
წამოზრდილა, თამაშის
გუნებაზე დამდგარა!
შეეგებნენ... და წრეში
ჩაიყენეს ბავშვებმა,
უკვე ჯორჯ-გიოსა და
ვახოს ეთამაშება!..
...კრეფს, სათამაშოების
დააქვს ბარგი-ბარხანა! -
...ზოგი აქ დაახვავა,
ზოგი იქ დაახვავა! -
ზოგი გადააკეთა -
მგელი თხას დაამსგავსა!

ეფერება კუდებზე
მელიების ფიტულებს,
ჩემთან მერე თამაშობს,
ტურას რომ გაისტუმრებს!..
ეს ნამცეცა ბაია,
ეს ღაბუა ჰატარა
თამაშობს და თამაშობს,
თამაშით ვერ გამძღარა!..
ქურქში გამოეხვია, -
ახლა თითქოს ფუღუა,
იცინის და იცინის,
მზესავით უღრუბლოა!..
არასდროს ჭირვეულობს,
ვერ შემოვა შინ ბუა!
...შემოვა და დახვდება
ბიჭი - ლუკა ხუბუა!

კატუნიამ დათუნას
ხელი მოუთათუნა
და შესძახა დათვურად,

მი-ა-უ!

მხოლოდ ბაჭია –
ბიჭი ჰრანჭია,
იეო ჭკვიანად:
არც ბღაოდა,
არც კნაოდა,
არც ხაოდა,
არც ჩხაოდა,
ჭარხლის ქვეშ
იწვა და,
გახლეჩილტუჩება,
ცხოველებს
ურჩევდა:

ვინც უნდა
იწოკვროს,
ნუ ჩხავის,
ვინც უნდა
იჩხავლოს,
ნუ ბღავის,
მუხას ვერ
შეაწვდება
ბალახი,
მეფე ვერ
იშო�ებს
ბლეხუჩად,
კაცში ვერ
იფრენ
ბაყაყი,

ბუღად ვერ
იქცევა
ბღუჩა.

მაგრამ აბეზარა მხეცებმა
დაიწყეს თვალების ცეცება,
ეური არ ათხოვეს ბაჭიას,
ბაჭიას მანჭიას, ჰრანჭიას.
თაგვები ანგრევენ კართაგენს,
კატებით აავსეს სათაგვე.

სად დგება პირველად

შალვა საბაშვილი

წინა წერილში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ერთსა და იმავე მომენტში დედამიწის სხვადასხვა პუნქტში სხვადასხვა თარიღია! ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად ასტრონომები ხშირად მოვლენებს ერთიანი, მსოფლიო დროით გამოსახავენ. ეს გრინვიჩის მერიდიანის დროა.

მზის „მოძრაობის“ გამო, რაც სინამდვილეში დედამიწის ბრუნვის გამოვლენაა, ახალი თარიღი თანდათან დგება სულ უფრო დასავლეთით მდებარე პუნქტებში. მაგრამ რა სიჩქარით „მოძრაობს“ ძველი და ახალი თარიღების გამყოფი ხაზი? პასუხი ასეთია: 15 გრადუსით ყოველ საათში, ვინაიდან დედამიწის ეკვატორი სულ 360 გრადუსს შეიცავს, მზე კი დედამიწის სრულ ხილულ შემოვლას 24 საათს უნდება.

ახლა ყველაზე საინტერესო კითხვა: სად დგება პირველად ახალი თარიღი? მაგალითად 1 იანვარი? ამის გასაგებად უნდა ვიცოდეთ, რომ დედამიწა მერიდიანების საშუალებით 24 საათიან ზოლადაა დაყოფილი, რომლებიც საზამთროს ნაჭრებს წაგავს. თითოეული ზოლის ყოველ წერტილში ამ ზოლის შუა მერიდიანის დრო იხმარება. ყოველ ზოლში საათის ისრის ჩვენება 1 საათით ნაკლებია, ვიდრე მის მეზობელ აღმოსავლეთ ზოლში. ნულოვანი ზოლის შუა მერიდიანი გრინვიჩზე (ლონდონის ახლოს) გადის, მესამე ზოლისა – თბილისის მახ-



ახალი თარიღი?

ლობლად, მე-12 ზოლისა კი – რუსეთ-იაპონიის საზღვართან. ეს არის 180 გრადუსიანი გრძედი და სწორედ ეს მერიდიანია თარიღის გამყოფი ხაზიც: მის სხვადასხვა მხარეს საათის ჩვენებები ერთნაირია, თარიღები კი 1-ით განსხვავებული: აღმოსავლეთით ძველი თარიღია (მაგ. 12 მაისი), დასავლეთით კი ახალი (13 მაისი). ვინც ამ ხაზს აღმოსავლეთისკენ გადაკვეთს, „თავისი“ კალენდარი 1 დღით უკან უნდა დასწიოს, ანუ ხელმეორედ უნდა იცხოვროს წინა რიცხვით, დასავლეთისკენ გადაკვეთისას კი, პირიქით, წინ უნდა წასწიოს კალენდარი 1 დღით, ანუ „გადახტეს“ მომდევნო დღეში. სხვანაირად დიდი გაუგებრობები მოხდება.

ამრიგად, სურათი ასეთია: ახალი თარიღი, ვთქვათ, 1 იანვარი, პირველად მე-12 ზოლის დასავლეთ ნახევარში გაჩნდება, როცა 180 გრადუსიან მერიდიანზე შუაღამის 0 საათია. ამ ზოლის აღმოსავლეთ ნახევარში და დედამიწის ყველა დანარჩენ 23 ზოლში ამ დროს კვლავ 31 დეკემბერია: 1 საათის მერე 1 იანვარი დადგება მე-11 ზოლშიც, 2 საათის მერე მე-10 ზოლშიც და ა. შ. ამრიგად, ახალი თარიღის არე სულ უფრო გაიზრდება, ძველისა კი შემცირდება. 12 საათში ეს არეები თითქმის გატოლდებიან, მერე კი ძველი თარიღის არე სულ უფრო და უფრო შემცირდება. 24 საათის მერე 1 იანვარი უკვე მე-12 ზოლის აღმოსავლეთ ნახევარშიც დადგება, ოღონდ იმავე წამში ამ ზოლის დასავლეთ ნაწილში „გაჩნდება“ 2 იანვარი.

ასეთია სურათი. შეეცადეთ კარგად გაიაზროთ იგი.



სარწეულებს ეძგერნენ მამლები,
ცრემლებით ავსილი თვალებით.
მორბიან, მოქრიან კაკბები
ქვეყრებით, დოქებით, კოკებით.
დედლები, მტრედები,
გვრიტები
წყაროს წყალს ზიდავენ
ჭიქებით.
ქალაქი,
ცხოველთა ნაშენი,
იწვის და
არა ჩანს საშველი.

უეცრად მოფრინდა ჰეჰელა,
ცხრათვალა მზისაგან დამწვარი,
ფრთები დაიქნია ჰეჰელამ
და უცბად ჩააქრო ხანძარი.

კოცნიან
ველ-მინდვრის
დედოფალს,
სიცილად ქცეული
მხეცები:

მათემატიკური თავსატეხები

ყურადღებით დააკვირდი პირველ ფიგურას და გამოიცანი რას უდრის რიცხვი დანარჩენი რომბების შუაგულში?

ბაყაყები აყიყინდნენ: – ყი-ყი-ყი!
ყვინჩილებმა დაიყივლეს:
– ყიყ-ლი-ყო!
ჭუჭულები აყაყანდნენ: – ყა-ყა-ყა!
ვარიები აკაკანდნენ: – კა-კა-კა.
ჭრიჭინები აჭრიჭინდნენ: – ჭრი-ჭრი-ჭრი.
ჩიტუნები აჭიკჭიკდნენ: – ჭიკ-ჭიკ-ჭიკ.
ბულბულები აბულბულდნენ:
– ბულ-ბულ-ბულ.
და გულები აგუგუნდნენ:
– გუ-გუ-გუ.

იადონი
იავნანას უმღერის კატუნას,
სიზმარში რომ
ყველა თაგვი ჩააკნატუნა.

მხატვარი
თეა მიქაია

Lizi

ლიზი არზიანი

TOP MODEL

ამჯერად „დილის“ ტოპ-მოდელის ტიტული ლიზი არზიანმა მოიპოვა. პატარა გოგონამ გმირულად გაუძლო დამღლელ ფოტოსესიას, თქვენთვის ათჯერ მაინც გამოიცვალა სამოსი და ამ არცთუ ისე სახალისო საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა.

ბოლოკაპ და ყვანჩალას ახალი თავგადასავალი

ავტორი გია ლაფაური


64 000 007 ... 65 000 000 წელ
63 000 006 ... 64 000 000
62 000 005 ... 63 000 000
61 000 004 ... 62 000 000
60 000 003 ... 61 000 000
59 000 002 ... 60 000 000
58 000 001 ... 59 000 000
57 000 000 ... 58 000 000
ვერაფერს
ვხედავ...
8


სად
მოვხვდი? 65 000 000
წლის წინათ წაშსულში, თუ
მომავალში?
9


ლომ!!!
ვაი!
10

ვერ გაძეკცევი, ვემშიელოთ!!!
ჭოლოკა,
მიშველეეე!!!
11


ვინ ჩაბოთ ლბოის
ავცოვიზორი? ვაი, უკანჩალა!
ჭოლოკა,
მიშველეეე!!!
ძეცძალ მიპიშეძს!
12

ახლავე!
13


ყინალამ
ყული მომაყვნიცა...
2009 ... 2008 ... 2007 ... 2006
2010 ... 2011 ... 2012
14

65 მილიონი
წლის წინანდელ საზაშელ
მცაცეჭელ დინოზავრს – ცოცანოზავრს
გადაყორჩი... ხედავ, დაყლეკეფოძალ ოა
მოსდევს?!
ცოცა
ძეძაძინა მაგ
ხვლიკმა, ოოშეძ ინ
საინცეფილი იყო...
3.ლაგუჩი.
15

კალათბურთი

კალათბურთი დღეს სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. მისი მსგავსი თამაშის კვალი ნაპოვნია ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე (ჩვ. წ-მდე X ს.). იმდროინდელი რელიგიური დღესასწაულების აუცილებელი ნაწილი ყოფილა თიხის ბურთის სროლა მიზანში (შუაში გახვრეტილი ქვის დაფა). ამ თამაშს ერქვა „პოკ-და-პოკ“. მექსიკაში აღმოჩენილ 147 მეტრის სიგრძის სათამაშო მოედანს გარს აკრავს 8 მეტრის სიმაღლის ქვის ტრიბუნები, რომლებზედაც სამიზნე რგოლებს ამაგრებდნენ. აცტეკები კაუჩუკის ბურთს და ქვის კალათს იყენებდნენ, ფლორიდელი ინდიელები – ჭოკის ბოლოში დამაგრებულ დაწნულ კალათს.

ჯეიმს ნეისმითი

მსგავსების მიუხედავად, ისტორიკოსთა მიერ აღწერილ ადრეულ თამაშებს თითქმის არაფერი აქვს საერთო თანამედროვე კალათბურთთან, რომელიც სტუდენტებისთვის შექმნა სპრინგფილდის (აშშ, მასაჩუსეტსის შტატი) კოლეჯის ანატომიისა და ტანვარჯიშის მასწავლებელმა, დოქტორმა ჯეიმს ნეისმითმა. იგი, ალბათ, იცნობდა მექსიკური კაუჩუკის ორიგინალურ ბურთს (ოლამატიტცლი), რომელსაც მექსიკის მკვიდრი ინდიელები – აცტეკები ოსტატურად აძვრენდნენ ქვის რგოლში. ნეისმითმა ახალი თამაშის წესები შეადგინა და 1891 წლის 21 დეკემბერს პირველი საცდელი მატჩიც მოაწყო. თითოეულ გუნდში 9–9 მოთამაშე იყო. აქედან იღებს სათავეს კალათბურთის თამაშის ისტორია.

1892 წელს ნეისმითმა გამოაქვეყნა „კალათბურთის თამაშის წესების წიგნი“. წესების პირველ ვარიანტში 13 პუნქტი შედიოდა, რომელთაგან ბევრი დღემდე მოქმედებს. 1893 წელს შემოიღეს კალათბურთის ფარი, შემდეგ რკინის სალტე ბადით. 1895 წელს მოთამაშეთა რაოდენობა 9-იდან 5-მდე შემცირდა.

საქართველოში კალათბურთი საკმაოდ ორიგინალური და უჩვეულო გზით შემოვიდა. 1922 წელს მოსკოვში, სოკოლნიკის სტადიონზე, საკავშირო სპარტაკიადის დღეებში, თბილისის მუშფაკის ფიზკულტურული წრის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ჭელიძემ ნახა უცნობი თამაში, ჩაიწერა მისი წესები და უკან დაბრუნებისთანავე გააცნო იგი ნაცნობ-მეგობრებს. ერთი წლის შემდეგ, მუშფაკის ეზოში ორ ადგილობრივ გუნდს შორის გამართულმა პირველმა ოფიციალურმა მატჩმა დასაბამი მისცა კალათბურთის ისტორიას საქართველოში.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ უდავოდ აღიარებულ და დადგენილ ფაქტსაც აქვს წინაისტორია. 1901 წელს თბილისში გამოვიდა ქალაქის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებლის, ჩეხი ა. სკოტაკის წიგნი „ტანვარჯიშული თამაშები“. წიგნის ერთ-ერთი თავი – „თამაში დიდი ბურთით“ – დათმობილი აქვს კალათბურთის აღწერასა და წესებს. სამწუხაროდ, არ ვიცით, თამაშობდნენ თუ არა მაშინ კალათბურთს საქართველოში.

ქართული კალათბურთის ისტორია იწყება 20-იანი წლების საუკეთესო გუნდით – „სინათლით“, გრძელდება თბილისის ოფიცერთა სახლის კლუბით და განვითარების ზენიტს აღწევს თბილისის „დინამოს“ გამარჯვებებით.

ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1935 წლიდან, ქალთა შორის – 1938 წლიდან; მსოფლიო ჩემპიონატი კაცთა შორის – 1950 წლიდან, ქალთა შორის 1953 წლიდან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1936 წლიდან კაცთა შორის და 1976 წლიდან ქალთა შორის.

ფიბა (Fedraration Internationale de Basketbaal - FIBA) – კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია. დაფუძნდა 1932 წელს ჟენევაში. აერთიანებს 212 ქვეყნის ფედერაციას და 5 ზონალურ კომისიას.

კალათბურთის ეროვნული ასოციაცია (National Basketball Association) – ჩრდილოამერიკული კალათბურთის ლიგა – ***ნბა***. დაარსდა 1946 წლის ზაფხულში ***ბაა***-ს სახელწოდებით (ამერიკის კალათბურთის ასოციაცია) 10 ამერიკული და 1 კანადური კლუბის ინიციატივით. პირველი მატჩი გაიმართა 1946 წლის 1 ნოემბერს. 1949 წელს ***ბაა***-მ სხვა ლიგათა რამდენიმე კლუბი შეიერთა და ***ნბა***-დ გარდაიქმნა. დღეს ის 30 კლუბს აერთიანებს.





„დინამოს“ კალათბურთელთა კლუბი შეიქმნა 1933 წელს. პირველ წარმატებას საკავშირო სარბიელზე 1950 წელს მიაღწია. ოთხჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი, სამჯერ – საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, გაიმარჯვა ბევრ საერთაშორისო ტურნირსა და შეჯიბრებაში. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები რეგულარულად გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. სხვადასხვა დროს ევროპის ჩემპიონები იყვნენ ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ზურაბ საკანდელიძე, ამირან სხიერელი, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი. 1967 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა ზურაბ საკანდელიძე, 1982 წელს – ნიკოლოზ დერიუგინი.

მგელი მაკეა 63-65 დღის განმავლობაში; ძუ მგელი 3-დან 13-მდე, ზოგჯერ მეტ ლეკვსაც აჩენს; ჩანასახი თითქმის არ იღუპება, მაგრამ ახალშობილი ლეკვების უმეტესობა წლამდე ვერ აღწევს და მათგან მხოლოდ 2-3 თუ გადარჩება ხოლმე.

ახალგაჩენილი ლეკვები თითქმის ყველა მუქია, ფერს ასაკის მატებასთან ერთად იცვლიან.

როდესაც მშობლები სანადიროდ მიდიან, პატარა ლეკვები საიმედო „ძიძების“ ხელში რჩებიან — მრავალრიცხოვანი „დეიდები“, „ბიძიები“ და „ბიძშვილ-მამიდაშვილები“ მათ ყურადღებას არ აკლებენ.

ცხოველთა ცხოვრებე

ყმუილი — საზეიმო და მნიშვნელოვანი აქტია. ყველდღიურ ცხოვრებაში კი მგლები სხვა ენაზე „მეტყველებენ“. ესაა ღრენა, ბურტყუნი, სლუკუნი, წკავწკავი, ყეფა, წკმუტუნი და აშკარა წივილი.

მგელი წკმუტუნით ლეკვებს უხმობს; წკავწკავი მოუთმენლობას ნიშნავს; სიხარულს ბურტყუნით გამოხატავს...

მგლები ყმუილით ერთმანეთს შორ მანძილზე ინფორმაციასაც გადასცემს.

ცნობილია, რომ მგელს „ტყის სანიტარს“ უწოდებენ, რადგან ნადირობისას, ჩვეულებრივ, ზრდასრულ და ჯანმრთელ ცხოველს არ ერჩის. ხროვა, ძირითადად, ძალიან ბებერ, სუსტ ან ავადმყოფ ცხოველს ირჩევს. მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ, როგორ ნადირობდნენ მგლები ჩრდილოეთის ირმებსა თუ გარეული ხარების ჯოგებზე და აღმოაჩინეს, რომ ხროვა თავს ესხმის ჩამორჩენილ ცხოველს, რომელიც სხვებისგან განსხვავებით ძალიან სუსტია.

ბევრ მეცნიერს გადაჭარბებულად მიაჩნია მგლის სიხარბესა და გაუმაძღრობაზე გაუთავებელი ლაპარაკი და ამტკიცებს, რომ ეს ცხოველი მხოლოდ იმდენ ნადავლს მოინადირებს, რამდენიც გამოსაკვებად სჭირდება. მაგრამ ხშირად ყოფილა, რომ ცხვრის ფარაში შესულ მტაცებელს ასობით შინაური ცხოველი გაუნადგურებია და ყელგამოღადრული იქვე დაუტოვებია?! მეცნიერებმა ამ ფაქტსაც მოუძებნეს ახსნა: ცხვარი იმდენად უსუსური ცხოველია, რომ „ტყის სანიტარს“ ფარაში ყველა სუსტი და ავადმყოფი ჰგონია.

როგორც მეცნიერები ამბობენ, მგელი მონოგამია — დაწყვილებული ხვადი და ძუ ერთმანეთის ერთგულებას მთელი ცხოვრება ინარჩუნებენ და ერთ-ერთი პარტნიორის სიკვდილის შემდეგაც კი მეორე სამუდამოდ მისი ერთგული რჩება.

იცით თუ არა, რომ...

მგლები ხროვებად ცხოვრობენ. ხროვას ბელადი ჰყავს — წინამძღოლი, რომლის სურვილსაც ხროვის წევრები უსიტყვოდ ემორჩილებიან.

ბელადი, როგორც წესი, ხვადია. მისადმი სიყვარულს და პატივისცემას მისასალმებელ „ცერემონიაზე“ მგლები ასე გამოხატავენ — ყურებს კეფაზე გადაიწყობენ და ბეწვდალაგებულები ფორთხვით უახლოვდებიან, ლოკავენ და კბილებით ფრთხილად ეხებიან მის დრუნჩს.

თუ გაბრაზებული ბელადი მკაცრად შეხედავს დამნაშავე მგელს, ის მაშინვე მიწას განერთხმევა და ცდილობს, უხმაუროდ გაიძურწოს იქიდან.

მგლის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 15 წელია, ლიდერისა კი — 10-12. ბელადი სხვა მგლებზე ნაკლებს ცხოვრობს, მუდმივი დაძაბულობა და პასუხისმგებლობის ტვირთი უარყოფითად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე.

მგაჯეული ლუკა

„აფრიანი ნავები“

მასალა:

- მწვანე სალათის ფურცლები
- კიტრი
- წითელი ბულგარული წიწაკა
- ყველი
- ბუტერბროდის ჩხირები
- მაიონეზი

„აფრიკული პეიზაჟი“

მასალა:

- ბანანი
- ფორთოხალი
- კივი

კიტრი გაჭერი შუაზე, ამოუღე შუაგული და ამოავსე ყველის, კიტრის და წითელი ბულგარული წიწაკის მარილითა და მაიონეზით შეზავებული სალათით.

კიტრის თხელი ნაჭრები წამოაცვი ბუტერბროდის ჩხირებზე, თავზე ალმის ფორმით მოჭრილი წითელი წიწაკის ნაჭერი დაამაგრე და ნავს აფრა გაუკეთე.

მგონი, სტუმრები კმაყოფილები არიან!!!

მზა ნავები სალათის ფურცლებზე მოათავსე და სტუმრებს მიართვით!

დილის საუზ

ბანანები გაფცქვენი და პალმის რტოებად გამოიყენე, დაჭრილი კივი — ფოთლებად, ფორთოხლები — ოქროსფერი ქვიშის ფონისთვის, ფორთოხლის ერთი მრგვალი ნაჭრით კი შენს პეიზაჟზე მცხუნვარე მზე გამოანათებს!

არეულო



დილის ფოტოკონკურსი

ნიკოლოზ
და ნიტა ბაღდავაძეები

ტყუპების საიდუმლო

ჟურნალი „დილა“ კონკურსისთვის მიიღებს სიუჟეტურ ფოტოებს, რომლის მთავარი გმირი 10 წლამდე ბავშვი იქნება. კონკურსის პირობები იხილეთ „დილის“ facebook-ის გვერდზე –

საბავშვო გამომცემლობა დილა

საბავშვო გამომცემლობა „დილა“ გთავაზობთ

საყმაწვილო ენციკლოპედია

საყმაწვილო ბიბლიოთეკა

სხვადასხვა გამოცემები

საქართველოს ქალაქები

გამომცემელი: შპს საბავშვო გამომცემლობა „დილა“
მისამართი: ზანდუკელის ქ. 1
http://www.dila.ge
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com

ფასი: 3 ლარი

დაგვიმეგობრდით
Facebook/საბავშვო გამომცემლობა დილა